(როცა სამოთხის ბინადრები სამოთხეში შევლენ), განმცხადებელი გამოაცხადებს: "ჭეშმარიტად, თქვენ იცხოვრებთ სამუდამოდ და აღარ მოკვდებით, და ჭეშმარიტად თქვენ იქნებით ჯანმრთელები და აღარ დაავადდებით, ჭეშმარიტად, თქვენ იქნებით ახალგაზრდები და აღარ დაბერდებით, და ჭეშმარიტად, ისიამოვნებთ და აღარ შეგაწუხებთ რაიმე უბედურება!

გადმოსცემს აბუ სა'იდ ალ-ხუდრი, და აბუ ჰურეირა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «(როცა სამოთხის ბინადრები სამოთხეში შევლენ), განმცხადებელი გამოაცხადებს: "ჭეშმარიტად, თქვენ იცხოვრებთ სამუდამოდ და აღარ მოკვდებით, და ჭეშმარიტად თქვენ იქნებით ჯანმრთელები და აღარ დაავადდებით, ჭეშმარიტად, თქვენ იქნებით ახალგაზრდები და აღარ დაბერდებით, და ჭეშმარიტად, ისიამოვნებთ და აღარ შეგაწუხებთ რაიმე უბედურება!" ესაა ყოვლისშემძლე ალლაჰის სიტყვების მნიშვნელობა: და ითქმება: «აჰა, ეს არის სამოთხე, რომელიც მემკვიდრეობად გებოძათ იმის გამო, რასაც აკეთებდით». (სურა ალ-არაფ, აიათი 43)».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახსენებს, რომ სამოთხის ბინადრებს მიმართავს განმცხადებელი, როცა ისინი მის ნეტარებებს სიამოვნებით მიიღებენ: „ჭეშმარიტად, თქვენთვის მონიჭებულია მარადიული სიცოცხლე ჯანმრთელობაში, და სამოთხეში თქვენ არასდროს დაავადდებით, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ავადობა. თქვენთვის მონიჭებულია მარადიული სიცოცხლე, და თქვენ აღარ მოკვდებით, თუნდაც ეს იყოს ძილი, რომელიც მცირე სიკვდილად ითვლება. თქვენთვის მონიჭებულია მარადიული ახალგაზრდობა, და აღარ დაბერდებით. თქვენთვის მონიჭებულია ნეტარება, და თქვენ აღარ განიცდით სევდას ან გაჭირვებას. ეს დადასტურებულია ყოვლისშემძლე ალლაჰის სიტყვებით: «აჰა, ეს არის სამოთხე, რომელიც მემკვიდრეობად გებოძათ იმის გამო, რასაც აკეთებდით». (სურა ალ-არაფ, აიათი 43).

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8341